<u>პროექტი</u>

საქართველოს კანონი

,,საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. ,,საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის შესახებ" საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), სსმ, 47, 26/12/2007, სარეგისტრაციო კოდი 440.020.010.05.001.003.076) შეტანილ იქნას შემდეგი სახის ცვლილება:

1. **მე-14 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**
   ,,1. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის იმ ნამდვილი წევრების, წევრ-კორესპონდენტებისა და სტიპენდიანტების, რომელთაც ამ კანონის მიღებამდე ჰქონდათ შესაბამისი სტატუსი, დაფინანსების ძირითადი წყაროა საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი. აკადემიისათვის ამ პუნქტით გამოყოფილი სახსრები ცალკე აისახება საქართველოს შესაბამისი წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონში."

2. **მე-16 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-10 პუნქტი:**
   ,,10. სახელმწიფო აფინანსებს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის იმ ნამდვილ წევრებს, წევრ-კორესპონდენტებსა და სტიპენდიანტებს, რომელთაც ამ კანონის მიღებამდე ჰქონდათ შესაბამისი სტატუსი."

3. **მე-16^{1} მუხლის პირველ პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის 1^{1} პუნქტი:**
   ,,1^{1}. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული სახელმწიფო დაფინანსებით (გარდა ამ მუხლის მე-5 პუნქტისა) სარგებლობს, 2026 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

4. **მე-17 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**
   ,,მუხლი 17. კანონის მიღებასთან დაკავშირებით განსახორციელებელი ღონისძიებები

1. სსიპ-საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულმა აკადემიამ უზრუნველყოს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსათვის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის შენობის დაბრუნება 2026 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

2. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ უზრუნველყოს აკადემიის ფუნქციონირებისათვის საჭირო ალტერნატიული შენობის გამოყოფა 2026 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

3. საქართველოს მთავრობამ 2026 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით მიიღოს გადაწყვეტილება საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სისტემაში არსებული ,,ქართული ენციკლოპედიის'' შემდგომი ფუნქციონირების ფორმის შესახებ.''

მუხლი 2.

1. ეს კანონი გარდა პირველი მუხლის პირველი პუნქტისა ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.
2. ამ კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტი ამოქმედდეს 2027 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი **სალომე ზურაბიშვილი**